განკარგულება:**g-81. 81233406**
თარიღი:**06/12/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №48

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, რუსთაველის ქ. №59-ში მდებარე ორ სართულიანი შენობის (ს/კ 89.03.23.004) მეორე სართულზე არსებულ 58.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის ცენტრისთვის" (ს/კ442569891) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122--ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-4, მე-6 პუნქტების და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, რუსთაველის ქ.№59-ში მდებარე ორ სართულიანი შენობის (ს/კ 89.03.23.004) მეორე სართულზე არსებულ 58.00 კვ.მ ფართი გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის ცენტრს" (ს/კ442569891).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი